№ 28 თბილისი, 1942 წ. აგვისტო. გამოცემის წელი XIX, გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

# ნიანგი



ნახ. შ. ვადბოლსკისა

## ხელთაღლითობა

„ჰიტლერელები ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მათ გააძლიერეს არმია ევროპის კონტინენტზე. ამგვარი შანტაჟით მათ სურთ დაფარონ ევროპიდან ჯარების გადაყვანა საბჭოთა კავშირის ფრონტზე“.

**საფრანგეთში დარჩენილი ჰიტლერელი:** არ გაბედოთ ჩვენზე თავდასხმა! ხომ ხედავთ რამდენი ვართ!

## ამაო მზრუნველობა

„საფრანგეთში ფართოდ შემოიღეს ერზაცების ხმარება. მოქალაქეებს აძლევენ ხის ნარჩენებისაგან დამზადებულ ხორცს, პურს, შაქარს და სხვ.

გაზეთებიდან




**ლავალი:** ვერაფერი მოვუხერხე ამ მოქალაქეს, ახალი საჭმელების მრავალფეროვანი ბუფეტი შევუქმენი და მაინც ფარგასავით ჩამოხმა.

## ამათი და იმათი

ლავალმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ „მას სურს გერმანიის გამარჯვება“. პეტენი კი ამასწინათ მიესალმა ამერიკას და უსურვა „აყვავება“.

ლავალმა უთხრა პეტენსა
მოდი გავიყოთ როლები —
ვინ იცის როგორ გადასწყვეტს
ჩვენს ბედს მომავლის ბრძოლები.

თუმცა მე გერმანელების
ყველა მეძახის მონასა —
მე იმათ ფეხქვეშ ვეგები,
ვუძღვნი ვარდების კონასა,

მაგრამ მონა ხომ ყოველი
ორგულია და ცბიერი,
და ბატონის წინ მლიქვნელობს
როს ბატონია ძლიერი...

პეტენმა უთხრა: მიგიხვდი
ამ ჭირში მოგეშველები —
მე „ვაქებ“ მოკავშირეებს,
შენ აქე გერმანელები.

რომ ამით რაც გინდ არ მოხდეს
ჩვენ ავიშოროთ ხიფათი,
თითქოს ჩვენ ამათიცა ვართ
და ნაწილობრივ იმათიც.

ელი

ნახ. გ. ლომიძისა

## „მათი უდიდებულესობა“ სოროს დეძებს

ხორვატიის „მეფე“ პაველიჩმა პარტიზანების შიშით თავისი რეზიდენცია გადაიტანა პროვინციის პატარა ქალაქში.

გაზეთებიდან



პაველიჩი — ეხ, ძნელი ხელობა ყოფილა ეს მეფობა: რამდენი ხანია დავათრევ ტახტს და ერთი მყუდრო ადგილი მაინც ვერ მოვუნახე, რომ მოვიხადო და ზედ დავჯდე.

## ქანდაკება

1.

პოლკოვნიკმა ერთხელ კიდევ გადაიკითხა კაპიტანის მოხსენებითი ბარათი და გაიღიმა. მას, დაპყრობილი ოლქის კომისარს, უნდა ეჩვენებინა ევროპისათვის, რომ უკრაინელი ხალხი დაწყნარებულია, ოღონდ პარტიზანელები არ ასვენებენ. ამიტომ ჩააბარა პოლკოვნიკმა კაპიტანს, თავის გამოზრდილ მოწაფეს ამ დიდი ქალაქის კომენდანტობა და დაავალა: სასაფლაოდ გადააქციე ქალაქი, ოღონდ ყვავილები კი მოხჩანდეს ზედო. კაპიტანიც შეუდგა საქმეს და ქალაქში მეტი სახრჩობელა გაჩნდა, ვინემ ხეები იდგა. კაპიტანი კი გაიძახოდა:

— მე ვალდებული ვარ მოსახლეობის მყუდროება და სიცოცხლე დავიცვა. მე არ მივსცემ პარტიზანელებს ჩემი საკომენდანტოს შეწუხების საშუალებას...

ბოლოს, კაპიტანმა არ იკმარა ჩვეულებრივი ზომები და უჩვეულოს მიმართა. მან ქალაქს მძიმე ხარკი გააწერა და ეს ხარკი ნებაყოფლობითი შემოწირულებათ გამოაცხადა: ქალაქი ფიურერს ქანდაკებას უდგამსო. გამოიწერა ბერლინიდან ქანდაკება, აღმართა ქალაქის მოედანზე, შემოახვია ტილო და ყარაული დააყენა. აი, ამ ქანდაკების გასახსნელად იწვევდა ახლა კაპიტანი პოლკოვნიკს. იცოდა კაპიტანმა: პოლკოვნიკი თეატრალური ამბების მოყვარული იყო, ქანდაკების გახსნაზე ევროპელ ჟურნალისტებს მოიწვევდა. ჟურნალისტები ამ ამბავს გაახმაურებდნენ, მას ფიურერი გაიგებდა... და მაშინ... მაშინ კაპიტანის ბედს ძაღლი არ დაშყეფდა... ერთი რკინის ჯვარი ხომ აქვს, ახლა მეორესაც მიიღებდა...

2.

პოლკოვნიკის ავტომობილი საკომენდანტოსთან გაჩერდა, მაგრამ კაპიტანი არა ჩანდა. ალბათ დათვრაო გადაწყვიტა პოლკოვნიკმა და გაბრაზდა.

— მე ჩამოვედი და კომენდანტი სადაა? სადაა ის მამაძაღლი? — შეუხდა პოლკოვნიკი.

— წუხელის ქალაქის დასათვალიერებლად წავიდა, ბატონო პოლკოვნიკო — მოახსენეს მას. — არ იყო მთვრალი.

— თქვენ თქვენს უფროსს ამართლებთ, — ისევ დაიქუხა პოლკოვნიკმა. — უიმისოდაც გავხსნი ქანდაკებას. მაჩვენეთ სადაა? წამობრძანდით, ბატონო ჟურნალისტებო!

გაემართნენ მოედნისაკენ. მოედანზე დილიდან მორეკილი ხალხი იცდიდა. რომ არავინ გაპარულიყო, ქუჩები შეეკრათ. პოლკოვნიკი ტრიბუნაზე ავიდა და ჟურნალისტებს თხოვა ახლოს დამდგარიყვნენ.

— სმენა! — გაისმა განკარგულება და საპატიო ყარაული სმენაზე დადგა. ხალხი თვლემდა, როცა პოლკოვნიკი აღგზნებით ელაპარაკებოდა ჟურნალისტებს:

— დე, გაჰკიოდნენ საბჭოთა კავშირში, რომ ჩვენ ვძარცვავთ უკრაინას, რომ ჩვენ ვძულვართ ხალხს, რომ ჩვენ ყოველ კუთხეში შურისმგებლები გვიდარაჯებენ!.. ტყუილია, ბატონებო! ნახეთ ყველამ, როგორ გვაფასებს ჩვენ უკრაინელი ხალხი და რას აკეთებს იგი!

პოლკოვნიკმა ხელი გაიშვირა დახურული ქანდაკებისაკენ და დაიძახა:

— ჩამოხსენით ტილო! დიდება ფიურერს!

მოედანი გარინდდა. ჟურნალისტებმა ფოტოაპარატები მოიმარჯვეს, ტილო ჩამოცურდა.

— ხა...ხა... ხა... — გაისმა მოედანზე. დიდიხანია ასე გულიანად არ უცინია ხალხს. კვარცხლბეკზე ხის დიდი ჯვარი იდგა, ჯვარზე კაპიტანი ეკიდა. მკერდზე დაფა ჰქონდა: „აქამდე ჯვარი ეკიდა, ახლა ჯვარზე ეკიდოს!“

ჯვრის ძირას „ფიურერის“ თავვატეხილი ქანდაკება ეგდო.

როდიონ ქორქია

## მოქმედი ენთუზიაზმი

ნახ. ი. მახინახი

გერმანიის ხელისუფალნი შეშფოთებით აღნიშნავენ მრეწველობაში დივერსიების ზრდას.

გაზეთებიდან



— თქვენს ქარხნებში ახალი ლონისძიებები გაგიტარებიათ; იმედია ენთუზიაზმის აფეთქება მოშყვებოდა თქვენს მიმართვას მუშებისადმი.

— დიახ, სამწუხაროდ აფეთქება დაუყოვნებლივ მოშყვა ჩემს მიმართვას — სამი საამქრო მთლიანად დანგრეულია.

## ერთი რომანის ისტორია

...იცი მატილდას სიყვარულით იტანჯებოდა. ერთ... ჰალეს უნივერსიტეტის ახლო მდებარე ბაღში ...ნენ ერთმანეთს.

— მეტი აღარ შემიძლია. შენი სიყვარული მოსვენე... მაძლევს. მომეცი ნება რომ ხელი გამოგიწოდო. ...ილდას გულში სიხარულმა გაიქროლა. მაგრამ და...და, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ...ს უპასუხა.

— თანაგიგრძნობ, მაგრამ ნაადრევია. ხომ უყურებ ...დაიწყო. მალე შენც ჯარში გაგიწვევენ გერმანიის ...ლიო ბატონობისათვის საბრძოლველად. ვინ იცის ...ოვეელის... ჯერ ადრეა... როცა ომიდან დაბრუნდე... ...მაშინ მოვილაპარაკებთ. ასე სჯობია... ხელი მაშინ ...მიწოდე და, ალბად, მეც თანახმა ვიქნები.

...იცი მართლაც ჯარში გაიწვიეს. კიევის ახლოს ...დ დაიჭრა. საავადმყოფოში მოათავსეს და ცოტა ...მკურნალობის შემდეგ ისევ ქალაქ ჰალეში დააბ...ს.

— ფრიცი დაბრუნებულა! — მიახარეს მატილდას.

...ილდა იმავე ბაღში შეხვდა ფრიცს, სადაც ომის ...ტრფობა გაუმჟღავნეს. იგი მოუთმენლად ელოდა ...პირობის თანახმად ომიდან დაბრუნებული ფრიცი ...ელს გაუწოდებდა, მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა: ...ს აღარ შეეძლო მატილდასთვის ხელის გაწოდება, ...რივე მხარზე ხელების ნაცვლად ცარიელი სახე...ლები ჰქონდა დაკიდებული.

მ — ზა

## ე ლ ვ ა

### კატასტროფა

...ქსანდრია. სარწმუნო წყაროების მიხედვით, გერმანიის ...სარდალს რომელს ეგვიპტეში მარცხენა ფეხი დაუცურდა ...მედ დაუშავდა. ბერლინის მიერ მიღებული ზომები დაზა...ულის განსაკურნებლად შედეგს არ აღწევენ.

### საჯარო მოხსენება

...ი. ამ დღეებში პრემიერი ლავალი წაიკითხავს მოხსენებას ... თემაზე: „ფრანგ მუშახელის ყიდვა-გაყიდვა ცენტრალურ ...ავლეთ ევროპაში და მისი განვითარების პერსპექტივები“. ...ული ბილეთების მიღება მოქალაქეთათვის სავალდებულოა.

### ჩხუბი „არაფერზე“

...აპეშტი. ტრანსილვანიის გამო რუმინეთსა და უნგრეთს ... ჩხუბი დასრულდა, რადგან ჰიტლერმა ტრანსილვანია თა... ჩაიმახჭნა და ანტონესკუსა და ხორტის ასე მიმართა: შეხ... მეგობრებო, კმარა ჩხუბი „არაფერზე“!

## მათხოვრები

„მთელი ფინელი ხალხი შიშველ-ტიტველი სანახევროდ მათხოვრულ პირობებში ჩააყენა მანერჰაიმის მთავრობამ“.

გაზეთებიდან

ნახ. დონისა



— მოწყალება გაიღეთ, მოქალაქე.

— მოწყალება იქით იყოს და იქნებ დღეს ცოტა ...ამ გაქვს მოგროვილი, მასესხე ხვალამდე.

## ლითონის ხარისხი

ნახ. გ. იაშვილის და გ. გელაშვილისა



— როგორი ხასიათის ლითონია საბჭოთა კავშირში?

— თუ მხედველობაში მივიღებთ იქაური ლითონით მოყენებულ საშინელ ჭრილობებს, ძალიან ცუდი.

## ფაქტი

ჩვენი თვითმფრინავები სისტემატურად ბომბავენ გერმანიის სამრეწველო ქალაქ კენიგსბერგს.

გაზეთებიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

— საკვირველია, ფრიც, ფონ გებელსი ამბობს საბჭოთა ავიაცია დიდიხანია, რაც აღარ არსებობს, ესენი კი ყოველდღე თავს გვესხმიან, ვის დავუჯერო?

— ფაქტს, მეგობარო, ფაქტს.

## მკბენარა „ენა“

შაქრო გერმანული ენის სახელმძღვანელოს კითხულობდა: ჰალტ ფრიც (შესდექ ფრიც), ფორვერტ მარშ (გასწი წინ), ოშნე ვიდერშპრუხ (სიტყვა არ დასძრა) და სხვა.

— ვაი დედასა, რა ნიჭი მქონია, შენ კი მაინც არ მაფასებ, — ჩაილაპარაკა მან ჩემი მისამართით და გაიღიმა.

— შენ მართლა არ ხუმრობ, ჩემო ძამია, გერმანულად ისე კითხულობ, თითქოს ასი ფაშისტი გერმანელი გადაგეყლაპოს. — გავეხუმრე მას.

— ვკითხულობ, მაშა, — ჩვენმა ძმამ მტრის ენა თუ არ იცის ვერაფერს გახდება, სთქვა მან.

კითხვა განაგრძო.

— ეგ ხომ ასეა, თუმც შენ ისედაც ახერხებ მტერთან ენის გამონახვას მეთქი. — გადაკვრით ვუთხარი მას.

შაქრომ მწყრალად შემომხედა:

— შენა, ფრთხილად იყავ გამოთქმაშია, თორემა.

— მაპატიე, შაქროჯან, მე მინდოდა მეთქვა, მტრის ენის ნახვას ახერხებ მეთქი.

— აგრე გეთქვა რაღა, ვითომ რაო! — შაქრო მიხვდა რომ ჩემი გადაკრული სიტყვა ეხებოდა ერთ ამბავს, რომელიც მას შეემთხვა.

შარშან, ჩვენი დივიზია სამხრეთ ფრონტის ერთ-ერთ უბანში იდგა. მზვერავთა ჩემმა ჯგუფმა მტრის ზურგში № სოფელთან განლაგებული ნაწილების დაზვერვის შესახებ დავალება მიიღო. დავალების შესრულება დავაკისრე სამ ჩემ მზვერავს, მათ შორის შაქროს.

როცა მზვერავებმა დავალება შეასრულეს და უკან დაბრუნდნენ, შაქრომ შემდეგი მიამბო: უთენია იყო, როცა ტყის ნაპირს გავედით და დანიშნულ სოფელს მივუახლოვდით, უფროსმა დაგვარიგა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. მე უნდა ჩავსაფრებულიყავ იმ ადგილას, სადაც ტყე მეჩხერდებოდა და სოფლისკენ ბილიკი მიდიოდა. იქავე პატარა რუ ჩამოდიოდა. ასეც მოვიქეცი, ბუჩქებთან ჩავსაფრდი და ბილიკს თვალი გავაყოლე.

ვხედავ, ვიღაც მოდის, მხარზე ჩანთა გადაუკიდია. ნათლად გავარჩიე გერმანელი იყო. ხელში რაღაც ეჭირა, რომელსაც პირში იდებდა. ხშირად უკან იხედებოდა, ხომ არავინ მომდევსო. მოახლოვდა, რუს ნაპირად ჩამოჯდა, სახეზე წყალი შეისხა და ჭამა განაგრძო. გავხოხდი, ზურგიდან მივეპარე, ფრიცი არხეინად სანსლავდა ბატის ბარკალს. გავიფიქრე, ალბათ სოფელში მოიპარა მეთქი.

თავზე წავადექი. „შესდექ ფრიც! — გერმანულად შევუძახე. იგი წამოხტა და გაქცევა დააპირა. მაშინ ვიკადრე და მხრებზე დავებდღვენი. გერმანელი ღონიერი აღმოჩნდა. იგი თითქმის ჩემოდენა იქნებოდა. რომ არ ეყვირა პირზე ხელისგული მივაფარე. თითზე მიკბინა. მაშინ სახეში ჩავაფარე, იგი რაღაცას გალმუოდა და ბურტყუნებდა. ვერც ერთ სიტყვას ვერ მივხვდი. ვიფიქრე — ალბათ გერმანელი არ იქნება მეთქი. ჩვენ ერთხანს ვბურხალობდით. კიდევ რამდენიმე ადგილას მიკბინა. სისხლში გავითხუპნე. მაშინ ისე მაგრად ჩავაფარე სახეში, რომ თვალთ დაუბნელდა და მიწაზე გაიშხლართა. ხელები შევუკარი, ზურგზე მოვიგდე და უფროსისაკენ გამოვეშურე. უფროსმა გასინჯა. ჩანთაში წერილები აღმოუჩნდა, დავრწმუნდით, რომ ტყვე ფოსტალიონი იყო. უფროსმა გერმანულად დაუწყო ლაპარაკი, შემდეგ რუსულად შეეკითხა. იგი სდუმდა და ხმას არ იღებდა. მე გული მომივიდა და ქართულად შევუკურთხე: „შე პირძაღლო ამოიღე ენა მეთქი. — არაფერი გამოვიდა. იგი დუმილს განაგრძობდა. ტყვე წინ გამოვიგდეთ და შტაბისკენ გამოვწიეთ. შტაბში გამოირკვა, რომ ტყვე მუნჯი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა მისი მეოხებით შტაბმა საინტერესო ცნობები მიიღო. ფაშისტი ჯარისკაცების წერილები ნათელს მფენდა მათ ყოფაცხოვრებას და უიმედო განწყობილებებს.

შემდეგ შაქრო ხშირად ხუმრობდა ხოლმე: იმ პირძაღლმა ისეთ ადგილას მიკბინა, რომა ქალთა საზოგადოებაში არც კი ითქმებაო.

სან. ეული

ნახ. ი. კროტკოვისა

## ფრიცის თავგადასავალი



1. ფრიცი აბამდა

ფრიც თავისთავს კაცად თვლიდა
და აბამდა ჯაჭვით ძაღლსა,
და ფიქრობდა: ასე უკეთ
უდარაჯებს იგი სახლსა.



2. ფრიცი დააბეს

ფრიცი ჯარში გაიწვიეს,
მან დატოვა თავის სახლი
და რა ნახა... ფაშისტებმა
თვით დააბის როგორც ძაღლი

42-105

## ჭორებში გახვეული

„ფინლანდიაში ახალდაბადებულებს გაზეთის ქაღალდში ახვევენ, ჩვრები არ იშოვება“.

გაზეთებიდან

ნახ. ი. კროტკოვისა



ფინელი დედა—ეჰ, რა გიყო, შე საბრალო,
ჩემსა ბახალსა?
სხვა რა გზა მაქვს,
ჭორებს გახვევ ახალ-ახალსა.

## ნიანგის ლექსიკონი

**სამხედრო ნადავლი** — ჩულქები, ბავშვის საბნები, კოფთები და სხვა თეთრეული, რასაც გერმანელი რაინდები იარაღით ხელში მამაცურად სტაცებენ ოკუპირებულ ადგილებში დარჩენილ ქალებს და ბავშვებს. ნაწილს თვითონ იცვამენ, ნაწილს კი—სახლში უგზავნიან გრეტხენებსა და ამალიებს, რომ მათ შეიმოსონ შიშველი სხეული.

ჩვეულებრივი გაგებით კი — სამხედრო ნადავლი ეწოდება ბრძოლის დროს მტრისათვის წართმეულ საჭურველს და სხვა საქონელს (იხ. წითელი არმიის მიერ გერმანელ ოკუპანტების განადგურების შედეგად წამოღებული ზარბაზნები, ტანკები და სხვა დიდძალი იარაღი, რასაც ყოველდღე დაუსრულებლივ ვღებულობთ „უძლეველი“ ფრიცებისაგან.

**სამხედრო ობიექტი** — კლუბები, თეატრები, მუზეუმები, სამეცნიერო და სამწიგნობრო დაწესებულებები, რომლებსაც შეუდარებელი მამაცით ანგრევენ ჰიტლერელები მძიმე ზარბაზნებით, რათა კულტურის ჭაჭანება არ დარჩეს იქ, სადაც კი ჰიტლერელებს „ახალი წესრიგი“ შეაქვთ.

**მანეკენი** — მუყაოსაგან გამოკოპიტებული, ნახერხით გამოტენილი ადამიანის მოყვანილობის კონსტრუქცია, რაც ჩვეულებრივ იხმარება ტანისამოსის ჩამოსაკიდ-ჩამოსაცმელად.

ჰიტლერის მიერ დაპყრობილ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ მანეკენებს ახალი დანიშნულებისათვის იყენებენ: მათ ნიშნავენ „ფიურერებად“ და მექანიკურად მოწყობილი ზამბარების საშუალებით ასრულებინებენ ხალხის ჯალათების მოვალეობას.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სულ მცირე რეკონსტრუქციის შედეგად შეუფერხებლივ მოქმედებენ ასეთი მანეკენები — მაგ. საფრანგეთში — ლავალი, ნორვეგიაში — კვისლინგი, ხორვატიაში — პაველიჩი და სხვ.

**მასალა** — მრავალსახოვანი ფიზიკური (ან არაფიზიკური) სხეული, რომელსაც ადამიანები იყენებენ მრავალფეროვან მუშაობაში — განსაკუთრებით მშენებლობაში. ჰიტლერულ გერმანიაში კი ხდება პირიქით: იქ პირადი ბედნიერების მიზნით, ფაშისტები მასალად იყენებენ თვით ადამიანებს.

ომახი

## საბრძოლო შაირები

მტერს ურტყი და ანადგურე,
მოწოდების გაჰყევ ხმას,
არ სჩვევია უკან ხევა
ჩვენს წინაპრებს, — მებრძოლ ხალხს.

გქონდეს რკინის დისციპლინა, —
გამარჯვების თავდები,
როცა მტკიცედ მას დაიცავ
მტერსაც გაუმკლავდები.

არ გასტეხო წმინდა ფიცი
და სამშობლო დაიცავ,
რომ ხარობდეს ჩვენი მიწა,
რომ ბრწყინავდეს ჩვენი ცა.

ქიშ —

## „ანდამატური“ მოწოდება



— რას გაურბიან ეს ახალგაზრდები?
— ლავალის მოწოდებას ფრანგ ახალგაზრდობისადმი აღმოსავლეთის ფრონტზე ლაშქრობისაკენ.

## მეძებრები

გერმანულ გაზეთ „ფელდ ცაიტუნგში“ იოახიმ ფიშერი სწერს: „ჩვენს ობერეფრეიტორებს გაველურებული მეძებარი ძაღლების ალღო აქვთ, უკანასკნელ ქათამს, უკანასკნელ კვერცხსა და საუკეთესო თაფლს პოულობენ კოლმეურნეებთან.

გაზეთებიდან

ნახ. დონისა



ფიშერი—ვიშ, რა ყნოსვა აქვთ ამ ჩვენს მეძებრებს,
სად იპოება ამათი ტოლი,
ამ ნაშიერებს არიულ რასის
ზუსტად შეშვენით ძაღლების როლი!

## გაუგზავნელი წერილი

„ფინელი ჯარისკაცების ჯანმრთელობა საუცხოვოა, მიუხედავად კვების გაუარესებისა“.

(ფინური გაზეთიდან)

ჩემო ძვირფასო ელზა!

იწერები: „გაზეთებში იბეჭდება, რომ ფინელი ჯარისკაცების ჯანმრთელობა საუცხოვოა, მიუხედავად ცუდი კვებისაო“. მართალია, გენაცვალე; ჩვენ აქ ყველანი არაჩვეულებრივი ჯანმრთელნი ვართ. ჩვენს ათეულში დღემდე ცხრა კაცის მეტი არ გამხდარა ავად. იმათთაგან საიქიოს რამდენი გაემგზავრა ჯერჯერობით არ ვიცით, რადგან უკან ამბის მომტანი ჯერ არ დაბრუნებულა. პირადად მეც ისეთი ჯანმრთელი ვარ, რომ გუშინწინ სენსაცია მოვახდინე: მთელს ასეულში მარტო მე შევძელი ცალი ხელით მაერში ამეწია ორკილოიანი გირა. უნდა გამოგიტყდე, რომ თუმცა მეც მაწუხებს თავის, წელის, მუხლების და გვერდის ტკივილები, ნეკრესის ქარები, კუჭის წყლული, ღვიძლის ანთება, მაგრამ ტკივილებს მთელი დღეღამის განმავლობაში, რაღაც ოცდათოთხმეტი საათს ვგრძნობ მხოლოდ და ამიტომ ვერაფერს მაკლებს. ამას წინათ შეჯიბრი ჩატარდა, გამარჯვებული ისევ მე დავრჩი. მთელი ასი მეტრი მანძილი ისე გავიარე, რომ ერთხელაც არ დამისვენია და არც წავქცეულვარ. დღეს ავიწონე და რაღაც ოციოდე კილო დამკლებია მხოლოდ, რამაც ძალზე გამახარა. იწერები: „შენგან სურათის მიღებამ ძალიან გამახარა, საუცხოვოდ ხარ გამოწყობილიო, მაგრამ ტანი რაღაც ძალიან მსხვილი გაქვს და სახე კი არაჩვეულებრივი გამხდარიო, ასეთი ზორბა ვაჟკაცი აქ არ იყავ და მანდ როგორღა გახდიო?“ აქ გასაკვირი არაფერია, ჩემო ძვირფასო. ჩვენთან სურათის გადაღებისათვის არც კარგი ტანსაცმელია საჭირო და არც მოყვანილობა. ფოტოგრაფს ეს წინასწარ აქვს მომზადებული: საუკეთესო მხატვრის მიერ შესრულებული ფინელი ჯარისკაცის ტანი. ჩვენსას მხოლოდ თავს გადაიღებენ და სურათიც მზად არის. მაშ ასე ჩემო ძვირფასო. გკოცნი მრავალს. მელოდე საქაოს თუ არა საიქიოს მაინც.

შენი იუხნო ვინტერი.

დ. ჯავშანიძე

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი ყორესის ქ. № 5. ტელ. № 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 27/VIII. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. გამომც. № 51. შეკვეთის № 1773. უ0 11453.